[redacted] [redacted] [redacted]

[redacted]

№06

„26„ ივნისი 2024 წ.

ზუგდიდიდ მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიგა ფარულავას

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი
წარმომადგენელი [redacted]

განცხადება პეტიციის განხილვის თაობაზე

გეგზავნებათ განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის 680 მოქალაქის თხოვნა შპს „ [redacted] ‘ მიმდებარე ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის აღდგენასთან დაკავშირებით.

აქვე მოგახსენებთ, რომ ქ.ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, ჩხოუშიის ხიდის მარჯვენა მხარეს, მერიის გადაწყვეტილებით მოეწყო და ფუნქციონორებდა ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი, რამაც მოხსნა ქუჩის ერთი ნაწილიდან მეორეზე გაადადგილების დისკომფორტი, დღეის მდგომარეობით გზა კვლავ გადაკეტილია, რამაც გაართულა მგზავრთა და მოქალაქეთა პირობები, მიწის ვეშა გადასასვლელი კი ვერ აგვარებს გადაადგილების პრობლემებს. ასევე მოვაჭრეთა მიერ სარეალიზაციო საქონლის შემოზიდვა: გადატანა გადმოტანა შემოვლითი გზებით გარკვეულ სირთულესთან და დამატებითი თანხების გაღებასთან არის დაკავშირებული. აგრეთვე გართულებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილება. რიგ შემთხვევებში, ცალკეული მოქალაქეები გზის შემოკლებას მიზნით ბარდიურებიდან ცდილობენ გადასვლა-გადმოსვლას, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს გაუთვალისწინებელი მძიმე შედეგი.

შპს [redacted] სახ.ბიუჯეტში ყოველთვიურად შეაქვს 24 ათასი ლარი
რის გამოც შემოსავლების სამსახურიდან მიღებული გვაქვს მადლობის
წერილი. გადასასვლელის გაუქმებამ საგრძნობლად შეამცირა მომხმარებელთა
რაოდენობა და აშკარად უარყოფიდად იმოქმედა „ [redacted] " საქმიანობაზე,
გადასასვლელი ამაცთან ხელს შეუწყობს ორი ბაზრის (სავაჭრო ცენტრისა და
საკოლმეურნეო ბაზრის შეუფერხებელ ურთიერთობას.

აღნიშნული და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით აუცილებლობას
წარმოადგენს ადრე არსებული გადასასვლელის აღდგენა.

იმედი გვრჩება საკითხის გადაწყვეტილებაში თქვენს ობიეწტურ მიდგომას.
დანართი: პეტიციის ბლანკები 68 ფურცელი.

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენის

ხელმოწერა: პეტიციის წარმდგენი